

1

Կոմիտեի քննչական բաժին

Կոմիտեի քննչական բաժնի
Կոմիտեի քննչական բաժնի
2009 թվական 11.06 թվական N 176
Կոմիտեի քննչական
Երևան քաղաքում

 



ՎԱՅՈՒՆՆԵՐԻ ԿՈՄԻՏԵՍԻ ԿՈՄԻՏԵՍԻ ԿՈՄԻՏԵՍԻ
ՔՆՆՉԱԿԱՆ ԲԱԶՆԻ

**საქართველოს ეროვნული მუზეუმის
თქაონატ(მბ)თან სამეცნიერო კვლევებისათვის ღაშვების ინსტრუქცია**

1. სამეცნიერო კვლევებისათვის დაშვების ზოგადი წესი და პირობები

1.1. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ხელს უწყობს საკუთარი კოლექციების გამოყენებას სამეცნიერო შესწავლისა და კვლევებისათვის სხვადასხვა მეთოდებით ნებისმიერ სფეროში. კვლევებისათვის ექსპონატთან დაშვება დააკმაყოფილებს სამეცნიერო მოთხოვნებს სხვადასხვა დარგებში და ხელს შეუწყობს სამუზეუმო კოლექციების უკეთ შესწავლასა და სამომავლო კვლევებს.

1.2. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ექსპონატებსა და სხვა მასალებზე ტექნიკური კვლევის განსახორციელებლად საჭიროა მკვლევარმა ერთი თვით ადრე წერილობით განცხადებით მიმართოს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს. გენერალური დირექტორი, თავის მხრივ, შესაბამის მითითებას აძლევს თავისსავე მოადგილეს – მთავარ კონსერვატორს;

*მუზეუმი არაა ვალდებული თავად შეარჩიოს ექსპონატები თითოეული პროექტისათვის. ეს თავისთავად გულისხმობს განმცხადებლის წინასწარ ვიზიტს მუზეუმში საკვლევი ობიექტის შესარჩევად. ამისათვის განმცხადებელმა წინასწარ უნდა მიმართოს მუზეუმს ფონდში მასალის შესარჩევად.

განაცხადში მითითებული უნდა იყოს:

1. განმცხადებლის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელფოსტა (თუ ასეთი გააჩნია);
2. პროექტის აღწერა და კვლევის სამეცნიერო მნიშვნელობა კვლევის მეთოდებისა და მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით;
3. ჩასატარებელი ანალიზების ჩამონათვალი და მათი შესაბამისობა დასმულ ამოცანებთან;
4. სხვა შესაძლო საანალიზო მასალების მიმოხილვა; სამუზეუმო ექსპონატის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება;
5. დესტრუქციული კვლევის მოთხოვნისას - დასაბუთება, თუ რატომ არაა საკმარისი არაინვაზიური და არადესტრუქციული კვლევა;
6. სინჯის აღების თარიღი;
7. სინჯის ზომა და წონა (დიამეტრისა და სიღრმის ჩათვლით);
8. ანალიზის ჩატარების ადგილი და მკვლევარის ვინაობა (ინსტიტუტის/დაწესებულების ზუსტი დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია);
9. სინჯის/მასალის დაბრუნების თარიღი (შესაძლებლობის შემთხვევაში);
10. ექსპონატის საინვენტარო ნომერი და აღწერა* ან საკვლევი ობიექტის აღწერა;
11. ცალკეულ ნივთზე აღებული/ასაღები სინჯის რაოდენობა და დროის შუალედები.

1.3. ყოველი განაცხადი განიხილება ინდივიდუალურად.

1.4. თუ კვლევა ობიექტის მთლიანობას არ არღვევს და კვლევა ტარდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნებისმიერ ლაბორატორიაში, საკვლევი ობიექტთან დაშვება ხდება კურატორისა და შესაბამისი პროფილის რესტავრატორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე რესტავრაცია-კონსერვაციის დეპარტამენტის უფროსის, კონსერვატორის/უფ. კონსერვატორისა და მთავარი კონსერვატორის ვიზირებით. ნებართვას ადასტურებს გენერალური დირექტორი ხელმოწერითა და ბეჭდით.

1.5. სამუზეუმო კოლექციების კვლევისა და შესწავლის შესაძლებლობების გაზრდისათვის, კონკრეტულ შემთხვევებში, მუზეუმი უშვებს ექსპონატზე დესტრუქციული ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას.

1.6. თუ კვლევა ობიექტის მთლიანობას არღვევს, ან/და საკვლევი ობიექტი გააქვთ მუზეუმიდან, განაცხადს განიხილავს გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია. კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს დადგენილებას თითოეული ექსპონატის მნიშვნელობისა და მისი მდგომარეობის შესაბამისად. თუკი კვლევა ტარდება ექსპონატზე, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ან ეროვნული მნიშვნელობის მქონე ძეგლის სტატუსი, საკითხი განსახილველად შეიძლება გადაეგზავნოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს.

1.7. ნებართვა გაიცემა, თუკი:

1. განაცხადი სწორადაა შედგენილი და მოიცავს ყველა ზემოთჩამოთვლილ ასპექტს;
2. სინჯის ზომა/წონა და ოდენობა აუცილებელია დასახელებული შედეგის მისაღწევად;
3. სინჯის აღება მოხდება მაქსიმალურად უსაფრთხოდ ნივთისათვის და არ შეუშლის ხელს სამომავლო კვლევებსა და ანალიზებს;
4. დესტრუქციული ჩარევა იქნება მინიმალური;
5. სინჯი/საკვლევი ობიექტი, თუ შესაძლებელია, დაუბრუნდება მუზეუმს სამომავლო სარგებლობისათვის;
6. ანალიზის შედეგის მიღების ალბათობა მაღალია.

1.8. თუ საკვლევი ობიექტი მუზეუმში დაცულ საეკლესიო ნივთს წარმოადგენს, მასზე სინჯის აღება მოხდება მხოლოდ საპატრიარქოს წერილობითი ნებართვის მიღების შემდეგ.

1.9. სამეცნიერო საბჭოს დადგენილების საფუძველზე, (საკვლესიო ნივთზე საპატრიარქოს წერილობითი ნებართვით), საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ფორმდება ხელშეკრულება განმცხადებელთან.

1.10. სინჯები და ნებისმიერი საკვლევი ობიექტი, ნებისმიერი ნარჩენი (ანატკეცების, მტკრისა და მიწისა და ნახშირის ნიმუშების ჩათვლით), გამოუყენებელი ან სამომავლოდ გამოსაკვლევად ვარგისი მასალა, შეთანხმებისამებრ, უნდა დაუბრუნდეს მუზეუმს. მუზეუმს უნდა მიეწოდოს წერილობითი დოკუმენტები სინჯებისა და საანალიზე მასალების ადგილმდებარეობის, მოცულობისა და ტიპების შესახებ.

1.11. მკვლევარმა/განმცხადებელმა უნდა მიაწოდოს მუზეუმს ანალიზის სრული შედეგები (დაუშუშავებელი წინასწარი მონაცემების ჩათვლით გრაფიკების, ცხრილებისა და კომპიუტერული ნაბეჭდის სახით). ანალიზის შედეგები უნდა მოიცავდეს ასევე გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და აპარატურის დაწვრილებით აღწერას. მკვლევარი ვალდებულია მიაწოდოს მუზეუმს კვლევის შედეგად გამოქვეყნებული მასალის ორი ასლი. მუზეუმს უფლება აქვს გამოაქვეყნოს აღნიშნული მასალები და ასევე მიაწოდოს ისინი სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს.

1.12. დაუშვებელია ნებისმიერი ჩარევა საკვლევ ობიექტზე ან მისი გატანა მუზეუმიდან შესაბამისი შეთანხმების ორმხრივად ხელმოწერამდე.

1.13. ნებისმიერ ხარჯს ტრანსპორტირებისა და საფოსტო ხარჯების ჩათვლით თავის თავზე იღებს მკვლევარი.

1.14. მუზეუმის განაწესის დარღვევა გამოიწვევს მკვლევარისა და, ასევე, შესაბამისი დაწესებულების/ინსტიტუტისათვის სამომავლოდ საკვლევად არდაშვებას.

2. ინსტრუქციაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

მუზეუმი	სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი
განმცხადებელი	შესაბამისი სამეცნიერო კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი
საკვლევი ობიექტი/ობიექტი	სამუზეუმო ექსპონატი ან ნივთი, მისი ნატეხი, ფრაგმენტი, ნამცეცი ან მტვერი, ქვის, მიწის, ნიადაგის, ნახშირისა და ა.შ. ნიმუში
ფრაგმენტი	სამუზეუმო ექსპონატის/ნივთის ნებისმიერი განცალკევებული ნაწილი, ნატეხი, ანატეცი
მცირე უსახო ფრაგმენტი	ექსპონატის განცალკევებული ნაწილი, რომლის ზომა მერყეობს 0.5-დან 1.5 სმ-მდე და რომელზეც არ აღინიშნება რაიმე წარწერა, ნიშანი, დამლა, ორნამენტი, ნახატი თუ ნაკაწრი.
ნამცეცი	ექსპონატის განცალკევებული ნაწილი, რომლის ზომა არ აღემატება 0.5 სმ-ს
ექსპონატის მტვერი	ექსპონატის შესანახ ყუთში, მის შიგნით ან ზედაპირზე არსებული ნაწილაკები

**3. არადესტრუქციული სამეცნიერო კვლევების ჩატარების
ნებათაშის ფორმა**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

„ნება დაერთოს“

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
გენერალური დირექტორი:
200 წ. „-----“-----

გთხოვთ დაგერთოთ ნება ქვემოთ ჩამოთვლ ექსპონატებზე ჩატარდეს ტექნიკური კვლევა:

- ფონდი/კოლექცია -----
- კურატორის გვარი, სახელი -----(ხელმოწერა)
- რესტავრატორის გვარი, სახელი -----(ხელმოწერა)
- დეპარტამენტის უფროსის გვარი, სახელი -----(ხელმოწერა)
- უფროსი კონსერვატორის გვარი, სახელი -----(ხელმოწერა)
- მთავარი კონსერვატორის გვარი, სახელი -----(ხელმოწერა)

№	საინვენტარო №	დასახელება	მასალა	წონა	ზომა
1	2	4	5	6	7

კვლევის მეთოდი: -----

კვლევის ჩამტარებელი: -----

თარიღი: -----